საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

# საქართველო მსოფლიო რეიტინგებში

2026 წ.




# მსოფლიო ბანკი

## “ბიზნესის კეთება 2020”

# მსოფლიო ბანკი „ბიზნესის კეთება“

**2020 წელი - მე-7 ადგილი** 190 ქვეყანას შორის

**ქვეყნების დაშორებით საუკეთესო მაჩვენებლიდან (DTF) – 83.73 ქულა**

**საქართველოს რეფორმების ციკლი**

**ტოპ რეფორმატორი 2003 წლიდან** - ქვეყანაში განხორციელდა **51 რეფორმა** როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით

**მნიშვნელოვანი რეფორმები**

- ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება
- “ერთი სარკმლის პრინციპი“ და „დუმილი თანხმობის ნიშანია“ შეიქმნა სალიცენზიო აპლიკაციებისათვის
- გამარტივებული საგადასახადო კოდექსით 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 გადასახადი

**საქართველოს პოზიცია 2006-2020 წლებში**



## საქართველოს რეიტინგი ქვეყნებთან მიმართებით



# მსოფლიო ბანკი „ბიზნესის კეთება“

## 2006-2020 წლებში საქართველომ 51 რეფორმა განახორციელა

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბიზნესის დაწყება | √ | √ | √ | √ | | | √ | | | | | | | √ | |
| მშენებლობის ნებართვა | √ | √ | √ | | √ | | | | | | √ | | | | √ |
| ელექტროენერგიით მომარაგება | | | | | | | | √ | | | | √ | √ | | |
| ქონების რეგისტრაცია | | | √ | √ | | | | | | | | √ | | | |
| კრედიტის მიღება | √ | √ | √ | √ | | √ | √ | √ | √ | | | | | | |
| მინორიტარული ინვესტორების დაცვა | | √ | √ | | | √ | √ | | | | | √ | √ | | |
| გადასახადების გადახდა | | | | √ | | | √ | √ | | | | √ | | √ | |
| ვაჭრობა საზღვრებს შორის | √ | | | | √ | | | √ | | | | √ | | | |
| კონტრაქტის აღსრულება | √ | | | | | √ | | √ | | | √ | | | √ | |
| გადახდისუუნარობა | | | √ | | | √ | | √ | | | | | √ | | |
| დასაქმება | | | | | | | | | | √ | | | | | |

# მსოფლიო ბანკი „ბიზნესის კეთება“

**საქართველო პირველ ათეულშია შემდეგი კომპონენტების მიხედვით**

- **ბიზნესის დაწყება - მე-2 ადგილი**
- **ქონების რეგისტრაცია – მე-5 პოზიცია**
- **მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა - მე-7 პოზიცია**

2020 წელსაც საქართველომ კვლავ **პირველი** პოზიცია დაიკავა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში (23 ქვეყანას შორის)

## საქართველოს პოზიცია ინდიკატორების მიხედვით



BUSINESS READY

# მსოფლიო ბანკი
# „ბიზნესისთვის მზაობა“

## WB “Business-Ready”

მსოფლიო ბანკის 2025 წლის „B-READY“ რეიტინგში, **საქართველო,** მსოფლიო რეიტინგში **პირველ ოთხეულშია,** კორეასთან, სინგაპურთან და ესტონეთთან ერთად.

# საქართველოს რეიტინგი

მსოფლიო ბანკის რეიტინგში „ბიზნესისთვის მზაობა“ (B-READY 2025) საქართველომ მსოფლიოს 101 ქვეყანას შორის **მე-4 პოზიცია** დაიკავა.




საქართველო **10-დან 6 ინდიკატორში** მსოფლიოს **პირველ ათეულშია**, კერძოდ:

საქართველო **„დავების გადაწყვეტის“** ინდიკატორში **მე-2 პოზიციაზეა**, **„ბიზნესის მდებარეობის“** ინდიკატორში - **მე-4 პოზიციაზე**, **„შრომის“ ინდიკატორში** - **მე-7 პოზიციაზეა**, **„ბიზნესში შესვლის“** ინდიკატორში - **მე-8 პოზიციას** იკავებს, **„ფინანსური სერვისების“** და **„გადასახადების“** ინდიკატორებში - **ორივეში მე-9 პოზიციაზეა.**

# რეიტინგის ინდიკატორები

**B-READY**-ის ინდიკატორები აერთიანებს კომპანიის სასიცოცხლო ციკლის სამივე ეტაპს: **ბიზნესის დაწყება, ბიზესის ოპერირება/გაფართოება** და **ბიზნესის დახურვა.** აღნიშნული, თავის მხრივ, მოიცავს **10 ძირითად ინდიკატორს**:



# საქართველოს რეიტინგი

**რეიტინგი, 10 ინდიკატორს აერთიანებს 3 მიმართულების მიხედვით: „მარეგულირებელი ჩარჩო“, „საჯარო სერვისები“ და „ოპერაციული ეფექტიანობა“**




**„მარეგულირებელი ჩარჩო“ - მე-15 ადგილი** (77 ქულა), **„საჯარო სერვისები“ - მე-19 პოზიცია** (70.3 ქულა), **„ოპერაციული ეფექტიანობა“ - მე-2 ადგილი** (78 ქულა).

# ქულები ინდიკატორების მიხედვით

**საქართველოს უმაღლესი ქულა აქვს**

- „მარეგულირებელი ჩარჩოს“ მიმართულებით „**ფინანსური სერვისების**“ ინდიკატორში (95.9 ქულა)
- „საჯარო სერვისების“ მიმართულებით **„კომუნალურ სერვისებთან დაკავშირების“** ინდიკატორში (88.8 ქულა)
- „ოპერაციული ეფექტიანობის“ მიმართულებით **„ბიზნესში შესვლის“** ინდიკატორში (99.8 ქულა)



# ქულები ინდიკატორების მიხედვით

„მარეგულირებელი ჩარჩო“ „საჯარო სერვისები“ „ოპერაციული ეფექტიანობა“

ბიზნესში შესვლა




ბიზნესის მდებარეობა




კომუნალური სერვისები




შრომა




ფინანსური სერვისები




საერთაშორისო ვაჭრობა




გადასახადები




დავების გადაწყვეტა




ბაზრის კონკურენცია




გადახდისუუნარობა



# მსოფლიო ბანკი „B-READY“

რეიტინგი 3 წელი იქნება პილოტის რეჟიმში.

- ✓ საქართველო, პირველივე საპილოტე 2024 წელს იქნა შეყვანილი შესაფასებელ 50 ქვეყანას შორის;
- ✓ მეორე საპილოტე, 2025 წელს, დაემატა 52 ქვეყანა;
- ✓ მესამე საპილოტე, 2026 წელს, დაემატება დამატებით 78 ქვეყანა, მათ შორის EU და OECD-ის ქვეყნები.

**რეიტინგი სულ შეაფასებს 179 ქვეყანას**

James Gwartney, Robert Lawson, Ryan Murphy, and Matthew D. Mitchell

FRASER INSTITUTE

Economic Freedom of the World

2026 ANNUAL REPORT



# Fraser Institute

**“მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება”**

# Fraser Institute “მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება”

**2026 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო 7.76 ქულით 165 ქვეყანას შორის რეიტინგში 26-ე ადგილზეა** *(2026 წელს შეფასდა 2024 წლის პერიოდი)*

**რეიტინგში საქართველო შეფასებულია 5 ინდიკატორით და 25 კომპონენტით:**

- მთავრობის ზომა – **49-ე ადგილი, 7.30 ქულა**
- სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლების დაცვა – **51-ე ადგილი, 6.08 ქულა**
- წვდომა მყარ ვალუტაზე - **48-ე ადგილი, 9.08 ქულა**
- საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება – **22-ე ადგილი, 8.82 ქულა**
- რეგულაციები (კრედიტი, შრომა და ბიზნესი) - **მე-19 ადგილი, 7.51 ქულა**

## საქართველოს რეიტინგი და ქულები




## ადგილები ინდიკატორების მიხედვით



# Fraser Institute “მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება”

## საქართველოს რეიტინგი ქვეყნებთან მიმართებით



# Fraser Institute, მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება

## საქართველოს ქულები ინდიკატორების მიხედვით






# The Heritage Foundation

## “ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი”

# Heritage Foundation “ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი”

- ✓ საქართველო 2026 წელს **35-ე** პოზიციაზეა *184 ქვეყანას* შორის **69,6 ქულით**
- ✓ საქართველომ მე-20 პოზიცია დაიკავა ევროპის 44 ქვეყანას შორის.
- ✓ 2026 წელს საქართველო **ზომიერად თავისუფალ ჯგუფშია.**










**მსოფლიო საშუალო ქულა**

**რეგიონის საშუალო ქულა** (ევროპა)

## საქართველოს რეიტინგი წლების მიხედვით



# Heritage Foundation “ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი”

## კანონის უზენაესობა




## რეგულაციების ეფექტიანობა




## მთავრობის მოცულობა




## ღია ბაზარი



# Heritage Foundation “ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი”

2026 წელს, საქართველო ევროპის **ოცეულშია** და რეგიონის *44 ქვეყანას* შორის **მე-20** პოზიციაზეა.

## საქართველოს რეიტინგი მსოფლიოში და რეგიონში



# ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

# OECD

**„მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი 2024“**

# OECD „*SME Policy Index - 2024*“

## მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი, 2024

- 2024 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „SME Policy Index” მე-4 რაუნდის შეფასების შედეგებით, **საქართველო კვლავ ლიდერია და 12-დან 11 მიმართულებით**, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, **პირველ პოზიციას იკავებს.**

- მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი - „SME Policy Index“ OECD-ის კვლევას წარმოადგენს, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებს აფასებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის „ევროპის მცირე ბიზნესის აქტთან“ (Small Business Act of Europe) შესაბამისობის თვალსაზრისით. კვლევა მოიცავს 5 მიმართულებას და 12 კომპონენტს, რომლებიც ფასდება 1-დან 5 ქულამდე.

***ანგარიშში OECD-ის შეფასებები საქართველოსთან მიმართებით***

„პოსტ COVID-ის სწრაფი ეკონომიკური აღდგენით, გლობალურად არის აღიარებული საქართველოს მაღალი სტანდარტების მარეგულირებელი და ბიზნეს გარემო.” OECD

„საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოები სარგებლობენ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მარტივი რეგისტრაციით, ელექტრონული მმართველობის სერვისების გაფართოებით, ფინანსებზე გამარტივებული წვდომით და RIA-ს უფრო სისტემური გამოყენებით“. OECD

OECD

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მცირე და საშუალო ბიზნესის პროგრესში ლიდერობის მიუხედავად, საქართველოს მაინც შეუძლია გააძლიეროს თავისი მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ჩარჩო - განსაკუთრებით სამეწარმეო და ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობით, მომავალ ეროვნულ ციფრულ სტრატეგიაში მცირე და საშუალო ბიზნესის დიგიტალიზაციის ხელშეწყობით და საერთაშორისო სტანდარტებთან მარეგულირებელი ორგანოების შესაბამისობის უზრუნველყოფით.

# OECD „SME Policy Index - 2024“

## მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსის ინდიკატორები

| | 2024 |
|---|---|
| ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩო | 4.37 |
| ოპერაციული გარემო | 4.51 |
| გადახდისუუნარობა და მეორე შანსი | 3.36 |
| სამეწარმეო სწავლება და ქალთა მეწარმეობა | 4.17 |
| მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარები | 4.12 |
| ფინანსებზე ხელმისაწვდომობა | 4.07 |

| | 2024 |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვები | 3.61 |
| სტანდარტები და ტექნიკური რეგულაციები | 4.37 |
| მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია | 4.52 |
| ბიზნესის ხელშემწყობი სერვისები | 4.22 |
| ინოვაციური პოლიტიკა | 3.44 |
| მწვანე ეკონომიკა | 3.08 |

# OECD „SME Policy Index - 2024“

## SME Policy Index - რეფორმების განხორციელების პროგრესი

### პასუხისმგებლიანი მთავრობა

1

- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის მიღება.
- მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის გამოყენება დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ხელშეწყობის მიზნით.
- კრედიტორთა რეაბილიტაციისა და კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის მიღება.
- ციფრული მმართველობის სააგენტოს დაარსება.

### სამეწარმეო ადამიანისეული კაპიტალი

2

- პროფესიული სასწავლებლების ორგანიზაციული შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება.
- უნარების სააგენტოს შექმნა.
- მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების სტრატეგიის მიღება ახალი პრიორიტეტული მიმართულებით, რომელიც ეძღვნება ქალთა მეწარმეობას.
- მცირე და საშუალო მეწარმეობის ონლაინ ტრენინგების რაოდენობის ზრდა.

### ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

3

- მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიისა და მასთან დაკავშირებული კლასიფიკაციის გამოქვეყნება.
- კომერციული ბანკებისთვის მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშის წარმოების მოთხოვნის შემოღება.
- ESG საკითხების ინტეგრირება კორპორაციული მმართველობის კოდექსში საჯარო ფასიანი ქაღალდების საკითხებზე.
- პანდემიის გამო საკრედიტო გარანტიის ეროვნული სქემის ხელახალი გაშვება და გაფართოება.
- „მიკრობანკების შესახებ“ კანონის მიღება.
- ფინანსური განათლების ახალი ეროვნული სტრატეგიის მიღება მცირე და საშუალო მეწარმეობის სამიზნე ჯგუფად აღიარებით.
- ფინანსური განათლების ვებსაიტის FinEdu გაშვება.

# OECD „SME Policy Index - 2024“

## SME Policy Index - რეფორმების განხორციელების პროგრესი

### 4 ბაზარზე წვდომა

- ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაცია.
- Enterprise Georgia-ს ექსპორტის დახმარების პროგრამა ექსპორტიორი ბიზნესების ტექნიკური დახმარების თანადაფინანსების მიზნით.
- ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს შექმნა.
- ეროვნული კანონმდებლობის დაახლოების ინტენსიფიკაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან: GEOSTM-ის CEN და CENELEC-ის აფილირებული წევრის სტატუსი.
- მცირე და საშუალო მეწარმეობის მონაწილეობის ხელშეწყობა სახელმწიფო შესყიდვებში.

### 5 ინოვაციები და ბიზნესის მხარდაჭერა

- Enterprise Georgia’s Growth Hubs მხარდაჭერის პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.
- Enterprise Georgia-ში მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამების გავლენის მონიტორინგისა და ანალიზის სამსახურის შექმნა.
- GITA-ს ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა.
- „მწვანე ეკონომიკის განვითარება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის“ სტრატეგიულ მიმართულებად განსაზღვრა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში.

# OECD „SME Policy Index - 2024“



# The World Bank

## “World Wide Governance Indicators”

## მსოფლიო ბანკი

**„მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“ - WGI**

# მსოფლიო ბანკი
# „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“

- **WGI** მმართველობის ხარისხს აფასებს ექვსი ძირითადი მიმართულებით: (1) **გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება,** (2) **პოლიტიკური სტაბილურობა,** (3) **მთავრობის ეფექტიანობა,** (4) **რეგულირების ხარისხი,** (5) **კანონის უზენაესობა და** (6) **კორუფციის კონტროლი**. აღნიშნული მიმართულებები საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობა, ისე მათი საქმიანობის პროგნოზირებადობა, ანგარიშვალდებულება და სამართლებრივი გარემოს ხარისხი.

- რეიტინგის ინდიკატორში **„რეგულირების ხარისხი“,** საქართველოს 66.23 ქულა აქვს და 213 ქვეყანას შორის 53-ე ადგილს იკავებს, რაც WGI-ის სხვა კომპონენტებთან შედარებით ქვეყნის საუკეთესო შედეგს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მაჩვენებელი, ასევე, აღემატება ევროკავშირის ყველა კანდიდატი ქვეყნის შეფასებას, რაც მიუთითებს, რომ საერთაშორისო შეფასებით, საქართველოს რეგულირების ხარისხი მნიშვნელოვნად ძლიერ პოზიციაზეა.

- ინდიკატორების მიხედვით საქართველოს შეფასების შედარება **ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებთან** აჩვენებს, რომ ქვეყანა მმართველობის რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებაში **შედარებით ძლიერ პოზიციას ინარჩუნებს**.

# მსოფლიო ბანკი
# „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“

**მთავრობის ეფექტიანობის** ინდიკატორში საქართველო 6 კანდიდატ ქვეყანაზე უკეთეს შედეგს აჩვენებს, ხოლო მონტენეგროსა და ალბანეთს ჩამორჩება. **რეგულირების ხარისხის** ინდიკატორში საქართველოს შეფასება მნიშვნელოვნად აღემატება ყველა კანდიდატი ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელს. **კანონის უზენაესობისა** და **კორუფციის კონტროლის** ინდიკატორებში საქართველო 7 კანდიდატ ქვეყანაზე უკეთეს შედეგს აჩვენებს და მხოლოდ მონტენეგროს ჩამორჩება.

**მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები**
**საქართველოს ქულები 2020-2025 წლებში**



# მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი

## „კანონის უზენაესობის ინდექსი“

# მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი „კანონის უზენაესობის ინდექსი“

World Justice Project

- მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის ინდექსის“ 2026 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო **0.57 ქულით** მსოფლიოს 143 ქვეყანას შორის **55-ე ადგილზეა.**

- საქართველო აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის (EECA) 15 ქვეყანას შორის **პირველ პოზიციაზეა,** საშუალოზე მაღალი შემოსავლის (upper middle income) მქონე 44 ქვეყანას შორის **მე-8 ადგილი დაიკავა.**

- საქართველო EECA რეგიონის 15 ქვეყანას შორის **პირველ პოზიციას იკავებს** 8-დან 3 ინდიკატორში (კორუფციის არარსებობა, რეგულაციების აღსრულება, სისხლის სამართალწარმოება), ხოლო ღია მმართველობის ინდიკატორის მიმართულებით მე-2 პოზიციაზეა.

- საქართველო 3 ინდიკატორში (კორუფციის არარსებობა, რეგულაციების აღსრულება, ღია მმართველობა) **წინ უსწრებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ყველა ქვეყანას** (მოლდოვა, უკრაინა, სერბეთი, მონტენეგრო, ალბანეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, თურქეთი და ბოსნია-ჰერცეგოვინა).

# მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი „კანონის უზენაესობის ინდექსი“

World Justice Project

ინდექსი ზომავს კანონის უზენაესობის ხარისხს 8 ძირითადი ინდიკატორის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ აერთიანებენ 44 კომპონენტს.

**საქართველოს ქულა და რეიტინგი რეგიონში და გლობალურად**

| ინდიკატორები | ფაქტორის ქულა | ადგილი რეგიონში | გლობალური რეიტინგი |
|---|---|---|---|
| სახელისუფლებო ძალაუფლებაზე შეზღუდვები | 0.47 | 5/15 | 91/143 |
| კორუფციის არარსებობა | 0.63 | 1/15 | 44/143 |
| ღია მმართველობა | 0.57 | 2/15 | 48/143 |
| ფუნდამენტური უფლებები | 0.55 | 8/15 | 67/143 |
| წესრიგი და უსაფრთხოება | 0.78 | 8/15 | 50/143 |
| რეგულაციების აღსრულება | 0.57 | 1/15 | 50/143 |
| სამოქალაქო მართლმსაჯულება | 0.50 | 7/15 | 82/143 |
| სისხლის სამართალზე სამართალწარმოება | 0.48 | 1/15 | 59/143 |

# მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი „კანონის უზენაესობის ინდექსი“

World Justice Project

## საქართველოს რეიტინგი ქვეყნებთან მიმართებით






# Chandler Governance Institute

## „კარგი მთავრობის ინდექსი 2026“

# Chandler Governance Index
# „კარგი მთავრობის ინდექსი“

CHANDLER GOOD GOVERNMENT INDEX

- 2025 წლის შეფასების თანახმად, საქართველომ 133 ქვეყანას შორის 43-ე პოზიცია დაიკავა. რეგიონულ ჭრილში (Middle East, Central & West Asia) **საქართველო მე-5 ადგილზეა** (18 ქვეყანას შორის).

- რეიტინგში საქართველო **წინ უსწრებს** ევროკავშირის რიგ წევრ ქვეყნებს - უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და ასევე, **ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ყველა ქვეყანას**: მოლდოვა, უკრაინა, სერბეთი, მონტენეგრო, ალბანეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, თურქეთი და ბოსნია-ჰერცეგოვინა.

- რეიტინგი - „კარგი მთავრობის ინდექსი“ მთავრობებს აფასებს **35 ინდიკატორით**, რომელიც ერთიანდება **შვიდ ფაქტორში**: ლიდერობა და განჭვრეტადობა (1), ჯანსაღი კანონები და პოლიტიკა (2), ძლიერი ინსტიტუტები (3), ფინანსური მართვა (4), მიმზიდველი ბაზარი (5), გლობალური გავლენა და რეპუტაცია (6), ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაში დახმარება (7).

- რეიტინგში საქართველომ **მე-12 პოზიცია დაიკავა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით,** მე-14 ადგილზე გავიდა გამჭვირვალობით, მე-20 ადგილზე სტაბილური ბიზნეს რეგულაციებით, 25-ე ადგილზე ბიუროკრატიის ხარისხით და ა. შ.

- ანგარიშის თანახმად, რეიტინგში **საქართველოს გაუმჯობესებები** სრულ თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის მიერ ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებთან. ანგარიშში ასევე დადებითად არის შეფასებული საქართველოს სამთავრობო პროგრამის ფარგლებში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და საჯარო სამსახურის/სერვისების მოდერნიზაციის თვალსაზრისით განხორციელებული აქტივობები.

# Chandler Governance Index
# „კარგი მთავრობის ინდექსი“

CHANDLER GOOD GOVERNMENT INDEX

რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს ევროკავშირის რიგ წევრ ქვეყნებს - უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და ასევე, **ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ყველა ქვეყანას**: მოლდოვა, უკრაინა, სერბეთი, ალბანეთი მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, თურქეთი და ბოსნია-ჰერცეგოვინა.

**საქართველოს რეიტინგი მსოფლიოში**






# საერთაშორისო გამჭვირვალობა

## „კორუფციის აღქმის ინდექსი 2025“

# საერთაშორისო გამჭვირვალობა „კორუფციის აღქმის ინდექსი“




- 2024 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო **50 ქულით** მსოფლიოს 182 ქვეყანას შორის **56-ე ადგილზეა.**
- საქართველო რეგიონის (EC&CA) *19 ქვეყანას* შორის **პირველ პოზიციაზეა.**
- საქართველოს ქულა **მნიშვნელოვნად აღემატება** როგორც რეგიონის საშუალო ქულას (34 ქულა), ასევე, მსოფლიოს საშუალო ქულას (42 ქულა).

**საქართველოს რეიტინგი წლების მიხედვით**



# საერთაშორისო გამჭვირვალობა „კორუფციის აღქმის ინდექსი“




## საქართველოს, ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ქულები



International Budget Partnership



საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობა

# „ღია ბიუჯეტის ინდექსი“

# საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობა „ღია ბიუჯეტის ინდექსი“

- საქართველო 2023 წელს *125 ქვეყანას* შორის ლიდერია და **87 ქულით პირველ პოზიციას იკავებს**

**საქართველოს ადგილი და ქულები წლების მიხედვით**



# საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობა „ღია ბიუჯეტის ინდექსი“

ინდექსი აანალიზებს საბიუჯეტო პროცესებში **მოქალაქეთა ჩართულობას** *(მსოფლიოში მე-5 ადგილი, 44 ქულა)* და **ბიუჯეტის კონტროლს** *(მე-4 ადგილი, 83 ქულა)*

| | მოქალაქეთა ჩართულობა | კონტროლი | | დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტები (დიახ ან არა) |
|---|---|---|---|---|
| | | საკანონმდებლო ორგანოს მიერ | უმაღლესი აუდიტის ინსტიტუტის მიერ | |
| ქულა | 44 | 78 | 95 | დიახ |

# საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობა „ღია ბიუჯეტის ინდექსი“

## საქართველოს რეიტინგი ქვეყნებთან მიმართებით






WORLD ECONOMIC FORUM

# Global Gender Gap Index

## „მსოფლიო გენდერული გეფი 2026“

# მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი „მსოფლიო გენდერული გეფი“

- ✓ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალურ რეიტინგში **“Global Gender Gap 2026”** საქართველო წინა წელთან შედარებით **3 პოზიციით დაწინაურდა** და 0.727 ქულით **მე-60 ადგილი** დაიკავა მსოფლიოს 145 ქვეყანას შორის *(2025: 63-ე პოზიცია, 0,729 ქულა; 2024: 69-ე პოზიცია, 0.716 ქულა; 2023: 76-ე პოზიცია, 0.708 ქულა).*

- ✓ მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის *(upper-middle income countries, 40 ქვეყანა)* საქართველომ **მე-15 ადგილი დაიკავა.**

- ✓ გენდერული სხვაობის ინდექსი *(Gender Gap Index - GGI)* აფასებს *(0-დან 1 ქულამდე)* განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის **ეკონომიკაში მონაწილეობის და შესაძლებლობების, განათლების მიღწევის, ჯანმრთელობის/სიცოცხლის ხანგრძლივობისა და პოლიტიკური გაძლიერების** კომპონენტების მიხედვით.

**საქართველოს ქულები - 2026**



WORLD ECONOMIC FORUM

# „მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების ინდექსი 2026“

# მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი „მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების ინდექსი“

- 2026 წელს, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგში „მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების ინდექსი“ *(ქვეყნდება 2 წელიწადში ერთხელ)* საქართველომ **110 ქვეყანას შორის 4.32 ქულით მე-40 ადგილი დაიკავა** და 2024 წელთან 1 პოზიციით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 8 პოზიციით დაწინაურდა.

## საქართველოს რეიტინგი მსოფლიოში